საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030142840826819

№ 01-6/ო **08 / იანვარი / 2019 წ.**

„სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებისათვის - შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკისთვის“ - სპეცდაფინანსების დამატების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის № 592 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N19 დანართის (სოფლის ექიმი) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N693 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამების N18 დანართის (სოფლის ექიმი) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის შესაბამისად, სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების/ სამედიცინო მომსახურების გამწევი სხვა დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სოფლის ექიმის“ პროგრამის „სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკისთვის“, სპეცდაფინანსების დამატების ოდენობა განისაზღვროს თვეში 500 (ხუთასი) ლარით.

2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების უზუნველსაყოფად საჭირო პროცედურების გატარება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებისათვის - შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკისთვის“ - სპეცდაფინანსების დამატების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N01-16/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

დავით სერგეენკო